სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურა მინდორაშვილის ანგარიში 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 15 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ჩემო ამომრჩევლებო,

მოგეხსენებათ, რომ უკვე სამი წელია არჩეული ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრად. ამავე პერიოდიდან, საკრებულოს პირველმა სხდომამ გამომიცხადა უდიდესი ნდობა და ამირჩია საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ

საანგარიშო პერიოდში დავესწარი საკრებულოს ყველა სხდომებს, ვთავმჯდომარეობდი კომისიის 10 სხდომას, სადაც გატანილი იყო 20 საკითხი. აგრეთვე მონაწილეობას ვღებულობდი საკრებულოს ბიუროს სხდომების მუშაობაში, სადაც აქტიურად ვაფიქსირებდი საკუთარ პოზიციებს.

საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი ვიყავი 20 საკითხზე, ხოლო-თანამომხსენებელი 2 საკითხზე.

როგორც მოგახსენეთ, საკრებულოში ვარ საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 9 წევრით. ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა კომისიის 10 სხდომა, სადაც განხილულ იქნა სხვადასხვა ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხები.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში. მაგალითად, მუდმივად ვახდენ მათი პრობლემებიდან პრიორიტეტული საკითხების წამოწევას წინა პლანზე, რაც ძირითადად ეხება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებას, ჯანდაცვის საკითხებს, სასოფლო - სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სარწყავი სისტემის სრულყოფასა და გამართულ მუშაობას, სოფელში სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ჩვენი კოორდინირებული მუშაობით სოფელში განხორციელდა რამდენიმე მცირე პროექტი:

1. გაიწმინდა სოფლის სავარგულებამდე მისასვლელი გზების ნაწილი;
2. აქტიურად მიმდინარეობს ქუჩებში არსებული ძველი სანიაღვრე სისტემების გაწმენდა და შიდა სასოფლო გზის ნაპირების სისუფთავეზე კონტროლი;
3. ითიბება სავალი გზების გვერდულები;
4. სრულად მოასფალტდა ქვემო ბოდბიდან ზემო მაღარომდე დამაკავშირებელი გზა.
5. მოაფალტდა ქვემო ბოდბის ორ უბანი
6. სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამით მიმდინარეობს სოფლის სასაფლაოების ტერიტორიის გაწმენდა.
7. მოიხრეშა დაზიანებული გზის გარკვეული მონაკვეთები.
8. დასრულდა სოფელში სასმელი წყლის მოსახლეობისადმი 24 საათიანი მიწოდების ცენტრალური წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოობი

როგორც საკრებულოს წევრი და როგორც კომისიის თავმჯდომარე ვთანამშრომლობ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, მუნიციპალიტეტის მერთან, მერის წარმომადგენელთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, რომელთაც თქვენი სახელით მინდა მადლობა გადავუხადო სოფელში საანგარიშო პერიოდში განხორციელებული, ამჟამად მიმდინარე, დაუსრულებელი პროექტებისთვის და ვთხოვო, ანალოგიური მხარდაჭერა მომავალშიც. მიმაჩნია, რომ განვლილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, საქმიანობა.

ზურაბ მინდორაშვილი